განმარტებითი ბარათი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის MIA 2 19 00149094; 21/01/2019 წერილთან დაკავშირებით

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2018 წლის 28 იანვარს დარეგისტრირდა №AR1648658 განაცხადი, მრავალფუნქციური შენობის პროექტის შეთანხმების მოთხოვნით. აღნიშნულ განაცხადზე თანდართული იყო საექსპერტო შეფასება არქიტექტურული პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აღნიშნული პროექტი დახარვეზდა, რისი ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის MIA 2 19 00149094, 21/01/2019 წერილში მოყვანილი შენიშვნები.

ამჟამად მოგვმართა დამკვეთმა და გვთხოვა განმარტების გაკეთება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზემოაღნიშნულ წერილში დაფიქსირებული შენიშვნების შესახებ. აღნიშნულის შესახებ განვმარტავთ შემდეგს:

<u>შენიშვნა N1</u>: შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის გათვალისწინდეს გარე ხანძარ-საწინააღმდეგო რგოლური წყალგაყვანილობის არანაკლებ 100 მმ ქსელის მოწყობა, ქსელზე სახანძრო ჰიდრანტების მონტაჟით. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელზე სახანძრო ჰიდრან-ტები დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. სახანძრო ჰიდრანტები ქსელზე ისე უნდა განთავსდეს, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იქნას ხანძრის ჩაქრობა შენობის ნებისმიერ სათავსში. თუ განაშენიანების უბანში არსებობს წყალგაყვანილობის ქსელი და ქსელზე დასაპროექტებელი შენობიდან 200 მეტრის რადიუსში უკვე დამონტაჟებულია სახანძრო ჰიდრანტი, შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის ახალი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა საჭირო არ არის.

<u>პასუხი:</u> დამკვეთის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დასაპროექტებელი შენობიდან 200 მეტრის რადიუსში არ აღმოჩნდა სახანძრო ჰიდრანტი, რის გამოც პროექტში დატანილ იქნა 2 ჰიდრანტი, რომლებიც შენობის მიწისზედა ნაწილის ერთ-ერთი გარე კედლიდან 5 მ-ის, ხოლო სავალი გზის კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ-ის მანძილზეა (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებით). აქვე მინდა ავღნიშნო, რომ 41-ე დადგენილების მიხედვით (912 ქვეთავი), გათვალისწინებულია მხოლოდ სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლების მოწყობა, რომლებიც უნდა მოთავსდეს უშუალოდ შენობებზე და ეს გარემოება პროექტში გათვალისწინებული იყო. რაც შეეხება ჰიდრანტებს (წყლის ასაღებ წერტებს), ვინაიდან მათი განთავსება ხდება საზოგადოებრივ სივრცეებში (ძირითადად ქუჩის ტროტუარებზე), როგორც ჩანს, მათი

მოწყობა კერძო მესაკუთრეს არ ევალება და შესაბამისად მათ შესახებ არაფერია ნათქვამი 41-ე დადგენილებაში.

შენიშვნაN2: სახანძრო ჰიდრანტის, აგრეთვე მათთან მისასვლელი გზების ადგილმდებარეობა აღინიშნოს სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებით (მოცულობითი შუქ-სიგნალიანი ან ბრტყელი, დამზადებული შუქ-ამრეკლი საფარების გამოყენებით).

პასუხი: შენიშვნაში მითითებული მოთხოვნები, დამკვეთის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გათვალისწინებული იქნება ჰიდრანტების მონტაჟის დროს.

შენიშვნა N3: ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები (დაცილება) შენობის მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებამდე დამოკიდებულია ამ შენობა-ნაგებობების ცეცლხმე-დეგობის ხარისხსა და მათ ფუნქციურ დანიშნულებაზე, განისაზღვროს წარმოდგენილ დასაპროექტებელ დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი დასაპროექტებელ შენობა-ნაგებოასა და არსებულ შენობა-ნაგებობებს შორის და შესაბამისი მანძილი განისაზღვროს SP 4.13130.2013-ის და სხვა სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ადგენენ ამ მანძილს.

პასუხი: 41-ე დადგენილების თანახმად (202 ქვეთავი - განმარტებები), ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი იზომება შენობის ფასადიდან ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთამდე:

1. მიწის ნაკვეთის საზღვრის უახლოეს წერტილამდე;
2. ქუჩის, ჩიხის ან საზოგადოებრივი გზის შუახაზამდე;
3. მიწის ერთ ნაკვეთზე მდებარე ორ შენობას შორის წარმოსახვით ხაზამდე

ყოველივე ზემოაღნიშნული პროექტში გათვალისწინებულია და ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები დატანილია 41-ე დადგენილების მიხედვით, რომელშიც არაფერია ნათქვამი მეზობლად მდებარე შენობებზე. მიუხედავად ამისა პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შენიშვნა და კორექტირებულ პროექტში დატანილია საპროექტო შენობასა და მეზობლად არსებულ შენობას შორის მანძილები (მითითებულია აგრეთვე მეზობელი შენობის ფუნქციური დანიშნულება).

შენიშვნა N4: ვინაიდან სამშენებლო ნორმების და წესების და სხვა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების თანახმად მიწისქვეშა სართულზე სათავსების მოწყობას ექცევა განსაკუთრებული ყურადღება გათვალისწინდეს, რომ მიწისქვეშა სართულზე - ლიფტის შახტის წინ მოწყობილი უნდა იქნას ტამბურ-რაბი. კიბის უჯრედის და ლიფტის შახტის წინ მოწყობილ ტამბურ-რაბებში გათვალისწინებული იქნას ჰაერის დაწნევა. საკომუნიკაციო შახტების მღობავი ტიხრების ცეცხლმედეგობის ზღვარი მიღებული იქნეს არანაკლებ 45 წთ, ხოლო მათი კარების - 30 წთ.

პასუხი: აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებულია და ცვლილებები შეტანილია, როგორც პროექტის გრაფიკულ ნაწილში, ასევე განმარტებით ბარათში, შესაბამის ცხრილებში და ექსპერტიზაში.

შენიშვნა N5: ვინაიდან მიწისქვეშა ავტოსადგომში სხვა დანიშნულების სათავსების მოწყობა დაუშვებელია, ამიტომ ავტოსადგომში დამხმარე სათავსების მოწყობა დაუშვებელია.

პასუხი: შენიშვნა გათვალისწინებულია და სხვა დანიშნულების სათავსები მიწისქვეშა ავტოსადგომებიდან ამოღებულია, გარდა სახანძრო ავზებისა და ტუმბოების ოთახებისა, რომელთა არსებობა ავტოსადგომებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განმარტებით, დასაშვებია.

შენიშვნა N6: მიწისქვეშა ავტოსადგომის სართულებიდან კიბის უჯრედებსა და ლიფტების შახტებში შესვლა უნდა განხორციელდეს არანაკლებ 45 წთ ცეცხლმედეგობის მღობავი კონსტრუქციების მქონე ტამბურ-რაბის გავლით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ჰაერის დაწნევა. ვინაიდან ავტოსადგომი უკავშირდება შენობის ყველა სართულს, ამ შემთხვევაში უნდა გათვალისწინდეს შენობის ლიფტების შახტებსა და კიბის უჯრედებში კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის მოწყობა.

პასუხი: აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებულია და ცვლილებები შეტანილია, როგორც პროექტის გრაფიკულ ნაწილში, ასევე განმარტებით ბარათში, შესაბამის ცხრილებში და ექსპერტიზაში.

შენიშვნა N7: შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომების სართულებს შორის დამაკავშირებელ პანდუსებზე გათვალისწინდეს ტამბურ-რაბების მოწყობა, ჰაერის დაწნევით. ტამბურ-რაბების მღობავი კონსტრუქციების ცეცხლმედეგობა მიღებული იქნეს არანაკლებ 45 წუთის, ხოლო ტამბურ-რაბებში მოწყობილი კარების ცეცხლმედეგობა - არანაკლებ 30 წუთის. სართულებიდან იზოლირებული რამპების შესასვლელებში ტამბურ-რაბების ნაცვლად დასაშვებია გათვალისწინდეს პირველი ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო ჭიშკრები, ავტომობილების სადგომი სათავსების მხრიდან ჰაერის ფარდის მოწყობით - საქშენი აპარატებიდან არანაკლებ 10 მ სიჩქარის და არანაკლებ 0,03 მ საწყისი სისქის და დასაცავი ღიობის არანაკლები სიგანის მქონე ჰაერის ნაკადის საშუალებით, იმ პირობით, რომ რამპის საშუალებით არ ხდება ადამიანების ევაკუაცია ხანძრის დროს.

პასუხი: აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებულია და მიწისქვეშა ავტოსადგომების სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსების/რამპების შესასვლელებში გათვალისწინებულია პირველი ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო ჭიშკრები, ავტომობილების სადგომი სათავსების მხრიდან ჰაერის ფარდის მოწყობით - საქშენი აპარატებიდან არანაკლებ 10 მ სიჩქარის და არანაკლებ 0,03 მ საწყისი სისქის და დასაცავი ღიობის არანაკლები სიგანის მქონე ჰაერის ნაკადის საშუალებით (ამ პანდუსების/რამპების საშუალებით არ ხდება ადამიანების ევაკუაცია).

შენიშვნა N8: შენობაში გათვალისწინდეს სახანძრო ლიფტის მოწყობა.

პასუხი: სახანძრო ლიფტების მოწყობის აუცილებლობა, 41-ე დადგენილების მიხედვით (403.6.1 ქვეთავი), დგება იმ შემთხვევაში თუ საპროექტო შენობის დაკავებული იატაკი სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე მაღლაა, მაგრამ მიუხედავად ამისას აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებულია და ერთ-ერთი ლიფტი (ის ლიფტი, რომლის კაბინაში საკაცე შედის) იქნება სახანძრო, რომელიც დააკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნებს.

შენიშვნა N9: ვინაიდან წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტაციით დერეფნების სიგრძე აღემატება 60 მეტრს დერეფანი გაიყოს ტიხარით, რომლშიც მოწყობილი კარების ცეცხლმედეგობა იქნება არა ნაკლებ 15 წუთი.

პასუხი: აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებულია და ცვლილებები შეტანილია პროექტის გრაფიკულ ნაწილში.

შენიშვნა N10: შენობაში გათვალისწინებული იქნას შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის სისტემის მონტაჟი იმ ანგარიშით, რომ შენობის ყველა წერტილი უნდა მოირწყას 2 სახანძრო ლულით, წყლის ხარჯით 2,5 ლიტრი წამში.

პასუხი: ამ შენიშვნაში საუბარია მილდგარებზე, რომლებიც პროექტში გათვალისწინებული იყო სართულზე ორი ერთეულის ოდენობით, რაც საკმარისია 41-ე დადგენილების მიხედვით, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით, კორექტირებულ პროექტში ეს რაოდენობა გაზრდილია სამამდე, რაც აღნიშნულია, როგორც პროექტის გრაფიკულ ნაწილში, ასევე ექსპერტიზაში.

შენიშვნა N11: მრავალფუნქციური შენობის ფუნქციონალურ-გეგმარებითი კომპონენტები შესაძლებელია იყოს გაერთიანებული ჰორიზონტალური და ვერტიკალური კომუნიკაციებით, მხოლოდ ამ შემთხვევაში ისინი უნდა იყოს ფუნქციურად და გეგმარებით განცალკევებული და ჰქონდეთ დამოუკიდებელი საევაკუაციო კიბის უჯრედები და გასასვლელები, აგრეთვე ჰოლები და ვესტიბიულები, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე შენობის საზოგადოებრივი დანიშნულების სათავსებს უნდა ჰქონდეთ საცხოვრებელი ნაწილისაგან იზოლირებული საევაკუაციო გამოსასვლელები.

პასუხი: აღნიშნული შენიშვნა რადიკალურად ეწინააღმდეგება 41-ე დადგენილებას, მრავალფუნქციური შენობების დაგეგმარების მოთხოვნებთან დაკავშირებით, სადაც მსგავსი არაფერია ნათქვამი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ამ მოთხოვნას ვერ გავიზიარებთ.

შენიშვნა N12: ვინაიდან დაპროექტების დოკუმენტაციაში საერთოდ არ განიხილება შენობის სათადარიგო ელექტრომომარაგების საკითხი, გათვალისწინდეს, რომ თუ მოხდება შენობის რომელიმე სათავსოში გენერატორის განთავსება დაცული უნდა იქნეს SP 4.13130.2013 პუნქტი 6.9.18-ის მოთხოვნა.

პასუხი: დამკვეთის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საპროექტო შენობის საინჟინრო პროექტები დამუშავდება მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ, გონივრულ ვადაში. გამომდინარე აქედან ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია ზუსტად სად განთავსდება გენერატორი, თუმცა პირობითად ასეთი ადგილი მითითებულია პროექტის გრაფიკულ ნაწილში (0.00 ნიშნულზე, „1“ და „ზ“ ღერძების გადაკვეთასთან). ზემოხსენებული საინჟინრო პროექტების დამუშავების შემდგომ დაზუსტდება გენერატორის განთავსების ადგილი და დაცული იქნება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნები.

შენიშვნა N13: ავტომატური ხანძრის ჩაქრობის, კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის, სახანძრო სიგნალიზაციის, ხანძრის შესახებ შეტყობინების და ევაკუაციის მართვის სისტემების მიმღებ-მაკონტროლებელი ხელსაწყოები უნდა იქნას დამონტაჟებული ისეთ სათავსში, სადაც მუდმივად იმყოფება მორიგე პერსონალი დღე-ღამის განმავლობაში.

პასუხი: აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებულია და ასეთი სათავსი გათვალისწინებულია 0.00 ნიშნულზე, „1“ და „ზ“ ღერძების გადაკვეთასთან.

შენიშვნა N14: ვინაიდან წარმოდგენილ დაპროექტების დოკუმენტაციაში გაურკვეველია შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემების არსებობა შესაბამისად შენობის დერეფნებიდან, კიბის უჯრედებიდან და სარდაფის სართულიდან გათვალისწინებული იქნას კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა.

პასუხი: პროექტის გრაფიკულ ნაწილში, გეგმებზე დატანილია შესაბამისი შახტები, აგრეთვე განმარტებით ბარათში, ცხრილებში და ექსპერტიზაში აღნიშნულია, რომ შენობის დერეფნებში და მიწისქვეშა სართულებზე გათვალისწინებულია კვამლის მექანიკური გაწოვა, თუმცა შესაბამისი საინჟინრო პროექტი, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, დამუშავდება მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ, გონივრულ ვადაში.

შენიშვნა N15: შენობაში გათვალისწინებული იქნას სახანძრო განგაშის შეტყობინების სისტემის მოწყობა.

პასუხი: აღნიშნული სისტემები პირობითად დატანილია, როგორც პროექტის გეგმებზე, ასევე განმარტებით ბარათში და შესაბამის ცხრილებში. ამის შესახებ აღნიშნულია, აგრეთვე, ექსპერტიზაშიც, თუმცა როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისი საინჟინრო პროექტები დამუშავდება მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ, გონივრულ ვადაში.

შენიშვნა N16: ვინაიდან წარმოდგენილ დაპროექტების დოკუმენტაციაში განხილული არ არის შენობაში გათბობის და ელექტროდანადგარების მოწყობის საკითხები (მათ შორის შენობის მეორე დამოუკიდებელი ელექტროკვება), შესაბამისად ამ მოწყობილობების სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია შესადგენია და წარმოსადგენია განსახილველად.

პასუხი: როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისი საინჟინრო პროექტები დამუშავდება მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ, გონივრულ ვადაში.

შენიშვნა N17: გათვალისწინდეს, რომ შენობა და შენობაში მყოფი ადამიანები დაცულნი უნდა იყოს მეხის პირდაპირი დაცემისაგან და მისი გამოვლინების შედეგებისაგან. შენობის მეხდამცავი კატეგორია განსაზვრული უნდა იყოს მოქმედი ნორმების შესაბამისად

პასუხი: როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისი საინჟინრო პროექტები დამუშავდება მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ, გონივრულ ვადაში.

შენიშვნა N18: ვინაიდან დაპროექტების წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნოლოგიური სქემების დონეზე, ხოლო ტექნოლოგიური სქემები არ შეიცავს სათანადო ინფორმაციას და მონაცემებს (როგორც ტექსტურს ისე გრაფიკულს) შენობაში მოსაწყობ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შესახებ (სათანადო ინფორმაციასა და მონაცემების განზოგადოება კი წარმოებს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის შემუშავების გზით), ამასთან ერთად რადგანაც შეუძლებელია ამ სისტემების ტექნოლოგიური სქემებით მოხდეს შენობაში მოსაწყობი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე სამსახურს აუცილებლად მიაჩნია, შემუშავებული იქნას შენობის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია და დადგენილი წესის თანახმად წარმოდგენილი იქნას განსახილველად.

პასუხი: დამკვეთის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, როგორც ეს ზემოთ უკვე რამდენჯერმე აღვნიშნეთ, შესაბამისი საინჟინრო პროექტები დამუშავდება მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ, გონივრულ ვადაში. აღნიშნული პროექტები წარედგინება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს განსახილველად.

ამასთანავე გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ „ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები, რომელთა საფუძველს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული ნორმათა კრებული უმეტეს შემთხვევებში განსხვავებულ და ურთიერთ საწინააღმდეგო მოთხოვნებს აყენებს სხვადასხვა ტიპის შენობა-ნაგებობებისა და მათი შემცველი ნაწილების, ასევე სახანძრო სისტემებისა და ცეცხლისა და კვამლის დაცვის საშუალებების მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ როგორც საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 შემფასებელი სპეციალისტები, ვადასტურებთ მხოლოდ საპროექტო ობიექტის არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების მოთხოვნებთან და ვხელმძღვანელებთ მხოლოდ ზემოაღნიშნული დადგენილებით, საქართველოს ტერიტორიაზე 1992 წლამდე მოქმედი სხვა სამშენებლო ნორმების გვერდის ავლით.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით პროექტის განხილვა და მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოებს ორი ურთიერთ განსხვავებული და შეუსაბამო ნორმებით, თავის მხრივ კი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების მოთხოვნები დაცულია ჩვენს მიერ განაცხადზე თანდართული საექსპერტო შეფასების გათვალისწინებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების დავალდებულება (რომელიც რიგ შემთხვევებში შეუსაბამოსბაში მოდის 28.01.16წ. №41-ე დადგენილების მოთხოვნებთან) და მათ განხორციელებაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ვფიქრობთ, რომ მხოლოდ მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს პრეროგატივაა, თუმცა ასევე გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილების (რომლითაც ხელმძღვანელობს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ დაშვებულ იქნა 1992 წლამდე მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები და მათი ის ნაწილები, რომელთა ალტერნატივა იმ დროისათვის არ არსებობდა საქართველოში ტექნიკური რეგლამენტების სახით. შესაბამისად გაურკვეველია საგანგებო სამსახურის მიერ სხვადასხვა ნორმათა კრებულით სარგებლობის საკითხი, როდესაც ამავე ნორმებს დღეის მდგომარეობით არეგულირებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

<u>მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ გაზიარებულ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შენიშვნების უმრავლესობა, ისევ და ისევ ვადასტურებთ, რომ №41-ე დადგენილების მოთხოვნები წარმოდგენილ პროექტში დაცული იყო და მოიცავდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებულ არქიტექტურული პროექტისათვის საჭირო შესაბამის ინფორმაციას, სხვა ნორმათა შესაბამისობის განსაზღვრა და მათი საჭიროება კი უნდა განხორციელდეს და დადგინდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, შესაბამის კანონმდებლობებზე დაყრდნობით.</u>

ვიმედოვნებთ, რომ ზემოაღნიშნულ განმარტებებზე დაყრდნობით, აღნიშნული საკითხი თქვენს მიერ განმეორებით გადამოწმებულ და შეფასებული იქნება.

პატივისცემით,

ექსპერტი ირაკლი კვარაცხელია

შ.პ.ს “ქალაქპროექტი“

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქ. N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.12.08.037.106) დაპროექტებული მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

დირექტორი: მანუჩარ მახათაძე

ექსპერტი: ირაკლი კვარაცხელია

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 1 9

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. N3 (ს/კ: 01.12.08.037.106)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: მრავალფუნქციური შენობა

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: შ.პ.ს. „ეი-დი-ეს“/ დიმიტრი მოსულიშვილი

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

5) გზა–კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

6) მისაწვდომობის შეფასებას;

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

ასევე საექსპერტო დასკვა მოიცავს:

12) ლიფტების შეფასებას;

13) ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასებას.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

1. ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)
2. შენობა-ნეგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს
3. სიტუაციურ სქემას
4. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალას
5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას –1:500 მ
6. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმას (გენგეგმა)
7. შენობა–ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს
8. გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს
9. დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს
10. დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა–კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; მისაწვდომობის სვლაგეზს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს; გამოყენებულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს)
11. შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 47 მუხლის მიხედვით არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა საშუალებას ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა:

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

- **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები -6.30 და -3.30 ნიშნულებზე; სახანძრო ავზების და ტუმბოს ოთახები -6.30 და -3.30 ნიშნულებზე)
  აღნიშნული შეესაბამება 311.3 ქვეთავს.

- **სავაჭრო ჯგუფი სვ** (სავაჭრო ფართობი ±0.00 ნიშნულზე)
  აღნიშნული შეესაბამება 309.1 ქვეთავს.

- **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (სასაწყობო ფართობი +4.10 ნიშნულზე/ანტრესოლზე)
  აღნიშნული შეესაბამება 311.2 ქვეთავს.

- **საქმიანი ჯგუფი სქ** (საოფისე ფართობები +6.60, +9.80 და +13.00 ნიშნულებზე)
  აღნიშნული შეესაბამება 304.1 ქვეთავს.

- **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** (საცხოვრებელი ბინები +16.20 ნიშნულიდან +29.00 ნიშნულის ჩათვლით)
  აღნიშნული შეესაბამება 310.4 ქვეთავს.

საპროექტო შენობების დაკავებულობებისთვის სწორედ არის განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვები ანუ 1004.1.2 ცხრილის მიხედვით არჩეულია სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების

იატაკის ფართობები გაყოფილია, ზემოხსენებული ცხრილის შესაბამის, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებზე, კერძოდ:

- შემოზღუდული ავტოსადგომებისთვის (**სწ-2**) მიკუთვნებულია ავტოსადგომი გარაჟების სივრცის სტატუსი და შემდგომ მთლიანი ფართობი გაყოფილია 18,6-ზე;

- **სწ-2** ჯგუფის დაკავებულობის სხვა ფართობებისთვის (სახანძრო ავზების და ტუმბოს ოთახებისთვის) მიკუთვნებულია დამხმარე სათავსების და მექანიკური მოწყობილობების ოთახის სტატუსი და შემდგომ ამ ოთახების მთლიანი ფართობები გაყოფილია 27,9-ზე;

- ±0.00 ნიშნულზე მდებარე სავაჭრო ფართობისთვის (**სვ**) მიკუთვნებულია მიწის დონის ქვედა და მიწისპირა სავაჭრო-კომერციული სივრცის სტატუსი და შემდგომ მთლიანი ფართობი გაყოფილია 2,8-ზე;

- ანტრესოლზე (+4.10) მდებარე სასაწყობო ფართობისთვის **(სწ-1)**, რომელიც ემსახურება სავაჭრო სივრცეს, მიკუთვნებულია სავაჭრო-კომერციული საწყობის სტატუსი და შემდგომ მთლიანი ფართობი გაყოფილია 27,9-ზე;

- საოფისე ფართობებისთვის **(სქ)** მიკუთვნებულია საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) სივრცის სტატუსი და შემდგომ მათი ფართობები გაყოფილია 9,3-ზე;

- საცხოვრებელი ერთეულებისთვის **(სც-2)** მიკუთვნებულია საცხოვრებელი სივრცის სტატუსი და შემდგომ მთლიანი ფართობები გაყოფილია 18,6-ზე.

<u>დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციულ ტიპად განსაზღვრულია **I-B** ტიპი, რაც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- დაკავებულობების და კონსტრუქციული ტიპის გათვალისწინებით საპროექტო შენობის სიმაღლე (შესაბამისად სართულიანობა) და ფართობი აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს;

- შენობა არის მაღლივი, რომლის მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონიდან 34.50 მეტრია, ხოლო შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 29.40 მ-ზე ანუ 23.0 მ-ზე მაღლა, მაგრამ არ აღემატება 37.0 მ-ს და შესაბამისად საპროექტო შენობას ეხება მაღლივი შენობების გარკვეული რეგულაციები, რაც „წესების“ თანახმად დადგენილია არაუმეტეს 37.0 მ სიმაღლის შენობებისთვის;

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

შენობის ყველა სართულს, დაკავებულობებიდან, დაკავებულობის დატვირთვებიდან, სართულიანობიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე (ცხრილი 1021.2(1) და 1021.2(2)), ესაჭიროება მინიმუმ 2 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია. განვიხილოთ გასასვლელი საშუალებები სართულების მიხედვით:

- თითოეულ მიწისქვეშა სართულს ესაჭიროება 2 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია, შიგა გასასვლელის გზა-კიბეების სახით, რომლებიც ამ სართულებს აკავშირებს ერთმანეთთან, შენობიდან გამოსასვლელის დონესთან (±0.00 ნიშნული) და მიწის დონის ზემოთ მდებარე სართულებთანაც;

- ±0.00 ნიშნულზე (შენობიდან გამოსასვლელის დონეზე), განთავსებულია ერთი დიდი სავაჭრო ფართობი, რომლის დაკავებულობის დატვირთვა (ანტრესოლთან ერთად) 500-ს არ აჭარბებს და ამიტომ მასაც ესაჭიროება 2 გასასვლელი, თუმცა გააჩნია 6 გასასვლელი გზა-კარი, რომლებიც პირდაპირ შენობის გარეთ გადის. გზა-კარები, 1015.2.2 ქვეთავის თანახმად, მოწყობილია 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით, ანუ ორი აუცილებელი გზა-კარი (და მეტიც) ერთმანეთისგან, 1015.2.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის თანახმად (ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გათვალისწინებით), დაშორებულია ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის არანაკლებ ერთმესამედზე. რაც შეეხება ანტრესოლის გასასვლელებს, ვინაიდან გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური მანძილი 30 მ-ს აღემატება, ანტრესოლსაც ესაჭიროება 2 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია 2 შიგა გასასვლელის გზა-კიბის სახით (ამ კიბეებს 1009.3 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად შემოზღუდვა არ ესაჭიროება, რადგან ისინი აკავშირებს მხოლოდ ორ სართულს, რომლებზეც სვ და სწ-1 დაკავებულობებია განთავსებული და მათ 508.4 ცხრილის მიხედვით გამიჯვნა არ სჭირდება);

- ყველა ზედა სართულის გასასვლელებს წარმოადგენს შიგა გასასვლელის 2 გზა-კიბე, რომლებიც ერთმანეთისგან 9,0 მეტრზე მეტი მანძილით არის დაშორებული და აკმაყოფილებს 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო ამ გზა-კიბეებთან მისადგომი გზა-კარები ერთმანეთისგან, 1015.2.1 ქვეთავის თანახმად, დაშორებულია სართულის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტით. „3-4“ ღერძებს შორის მდებარე გზა-კიბე, ±0.00 ნიშნულზე, მიემართება შენობის გარეთ 1023-ე ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი გზა-დერეფნის საშუალებით, ხოლო „7-8“ ღერძებს შორის მდებარე გზა-კიბე - ფოიეს გავლით, რაც დასაშვებია „წესების“ მიხედვით, რადგან დაკმაყოფილებულია 1027.1 ქვეთავის N1 გამონაკლისის მოთხოვნები. შენობიდან გამოსასვლელები აკმაყოფილებს 1009.2 და 1022.1 და 1027.1 ქვეთავის მოთხოვნებს. ორივე გზა-კიბე, გრძელდება სახურავის ზედაპირამდე, თუმცა 1009.16 ქვეთავის მიხედვით ერთის გაგრძელებაც საკმარისი იქნებოდა. 1022.10 ქვეთავის თანახმად, ვინაიდან საპროექტო შენობა არის მაღლივი, ზემოაღნიშნული გზა-კიბეები უნდა იყოს კვამლისგან დაცული შემოზღუდული სივრცის ნაწილი ან დაწნევადი გზა-კიბეები. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ორივე ვარიანტი ანუ უშუალო შემომზღუდავებთან ერთად გზა-კიბეებს გააჩნია 909.20 ქვეთავით გათვალისწინებული ვესტიბიულები (ტამბურ-რაბები), ამასთან გზა-კიბეებიც და ვესტიბიულებიც არის დაწნევადი (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

  შენიშვნა: გზა-კიბეების და ვესტიბიულების დაწნევა/განიავება უნდა მოხდეს 909.20 ქვეთავის შესაბამისად.

- 1022.2 ქვეთავის თანახმად, გზა-კიბეები დანარჩენი სივრცეებისგან შემოზღუდული უნდა იყოს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც პროექტით გათვალისწინებულია ანუ როგორც გზა-კიბეების ასევე ვესტიბიულების შემომზღუდავებს (მათ შორის გარე კედლებს) წარმოადგენს ბეტონის ბლოკის და გაძლიერებული ბეტონის კედლები (დიაფრაგმები), რომლებსაც 721.1(2) და 721.1(1) ცხრილების თანახმად გააჩნია ცეცხლმედეგობის მოთხოვნილი ხარისხი (იხ. პირობითი აღნიშვნები). რაც

შეეხება გარე კედლებს, „ზ“ ღერძზე განთავსებულებს ცეცხლმედეგობის ხარისხი ესაჭიროება და გააჩნია კიდეც (2 საათიანი), ხოლო „4“ და „7“ ღერძებზე განთავსებულებს, 602 ცხრილის მიხედვით (ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით), ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება, თუმცა გააჩნია. ამ უკანასკნელ კედლებში მოწყობილია დაუცველი ღიობებიც, რაც ასევე დასაშვებია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით (ღიობები გაღების გარეშეა). ვინაიდან გზა-კიბეები წარმოადგენს კვამლისგან დაცული შემოზღუდული სივრცის ნაწილს, 909.20.4.1 ქვეთავის თანახმად, ვესტიბიულიდან გზა-კიბეზე მისადგომი ღიობები დაცულია 20 წუთიანი ცეცხლმედეგობის კარის ანაწყობებით, ხოლო შენობიდან ვესტიბიულებში გასასვლელი კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 90 წუთი, რაც აკმაყოფილებს 909.20.2 და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

შენიშვნა №1: 909.20.4.1 ქვეთავის თანახმად, ვესტიბიულიდან გზა-კიბეზე გასასვლელი კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი არ უნდა იყოს 20 წუთზე ნაკლები და უნდა აკმაყოფილებდეს 716.5.3 და 716.5.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს, რომლის მიხედვით კვამლგაუმტარი ზღუდეების კედლებში მოწყობილი კარის ანაწყობები NFPA 252-ის ან UL 10 C-ს და UL 1784-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს. კვამლგაუმტარი კარები NFPA 105-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

შენიშვნა №2: შენობიდან ვესტიბიულში გასასვლელი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.1 ქვეთავების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლის მიხედვით ანჯამიანი ან ღერძზე მოძრავკარიანი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი NFPA 252-ის ან UL 10 C-ს შესაბამისად უნდა შემოწმდეს. ცეცხლმედეგი კარები NFPA 80-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

შენიშვნა №3: კვამლისგან დაცულ შემოზღუდულ სივრცეში კვამლაღმომჩენის გააქტიურების შედეგად კარი თავისით ან ავტომატურად უნდა იკეტებოდეს, რომელიც დაყენებულია კვამლისგან დაცული შემოზღუდული სივრცის იატაკის მხარეს მდებარე შესასვლელთან. ნებისმიერ კარზე დაყენებული კვამლაღმომჩენის გააქტიურებამ უნდა აამუშავოს კვამლისგან დაცული შემოზღუდული სივრცის ყველა დონეზე მდებარე ყველა კარის დამკეტი მოწყობილობები. კვამლაღმომჩენები უნდა განთავსდეს 907.3 ქვეთავის

შესაბამისად. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი არ უნდა დასჭირდეს.

შენიშვნა №4: 1006.2 ქვეთავის თანახმად გზა-კიბეების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს. 1006.3 ქვეთავის თანახმად დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გასასვლელი საშუალებები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- გზა-კიბეებს, აკავშირებს გასასვლელთან მისადგომი დერეფნები (სადაც ამის აუცილებლობაა), რომლებიც მოწყობილია 1018 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. დერეფნებში მოწყობილია საჰაერო შახტები, რომლებიც შესაბამის მოწყობილობებთან ერთად უზრუნველყოფს მექანიკურ განიავებას/კვამლის მექანიკურ გაწოვას (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

შენიშვნა : დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს დერეფნები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- შენობიდან გამოსვლა ხდება პირდაპირ მიწის დონეზე, რის შემდგომ საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად, ორსაფეხურიანი გარე გზა-კიბეებისა და პანდუსების საშუალებით.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა–კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- კვამლისგან დაცული ორივე შიგა გასასვლელი გზა-კიბის თავისუფალი სიგანე არის 1.26 მეტრი, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. სავაჭრო ფართობის ანტრესოლთან დამაკავშირებელი, შემოუზღუდავი გზა-კიბეების სიგანე კი (1.20 მ და 1.22 მეტრი), რაც ასევე აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს. 1005.3.1, 1009.4 და 1010.6.1 ქვეთავების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, აგრეთვე, შენობიდან გამოსასვლელი დონისა (±0.00 ნიშნული) და საზოგადოებრივი სივრცის (ტროტუარის) დამაკავშირებელი გარე გზა-კიბეების და პანდუსების სიგანეებიც, რომლებიც საკმაოდ დიდია. შიგა გასასვლელის გზა-კიბეებზე, სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები 1013 ქვეთავის შესაბამისად. სახელურები მოწყობილია კიბეების და პანდუსების ორივე მხარეს, 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს. პანდუსების ქანობი, შვეული ამაღლება, სიგანე და ბაქნების ზომები აკმაყოფილებს 1010-ე ქვეთავის მოთხოვნებს;

- გზა-კიბეებთან მდებარე ვესტიბიულების სიგრძე (გასასვლელისკენ სავალი გზის მიმართულებით) არსად არის 1.80 მ-ზე ნაკლები, ხოლო სიგანე - 1.20 მ-ზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 909.20.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ±0.00 ნიშნულზე, ერთ-ერთ გზა-კიბესთან მოწყობილი გზა-დერეფნის სიგანე არის 2.15 მ, რაც აკმაყოფილებს 1005.1 და 1023.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

- დერეფნების მინიმალური სიგანე არის 1.60 მ, რაც 1005.3.2 ქვეთავისა და 1018.2 ცხრილის მიხედვით დასაშვებ მინიმუმზე (1.20 მ) მეტია;

- ყველა კარის (რომელიც არის გასასვლელი საშუალების ნაწილი/კომპონენტი) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82 მ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

- შენობიდან გამოსასვლელის დონე (±0.00 ნიშნული), რომელიც ერთია შენობის ყველა შესასვლელ-გამოსასვლელისთვის, საზოგადოებრივ სივრცეს (ტროტუარს) უკავშირდება 6%-იანი პანდუსებით და შესაბამისად შენობის ყველა შესასვლელი არის მისაწვდომი, რაც ზედმიწევნით აკმაყოფილებს 1105.1 ქვეთავის მოთხოვნებს. პანდუსებს, 1010.9 ქვეთავის თანახმად, ორივე მხარეს ესაჭიროება 1012-ე ქვეთავის შესაბამისი სახელურები, რაც პროექტით გათვალისწინებულია. რაც შეეხება მოაჯირებს, საჭირო არ არის, რადგან პანდუსების სავალი ზედაპირების ღია მხარეები არ მდებარეობს 75 სმ-ზე მაღლა;

- რადგან საპროექტო შენობის, როგორც მიწის დონის ზემოთა, ასევე მიწის დონის ქვემოთა სართულებს ესაჭიროება ერთზე მეტი გასასვლელი საშუალება, 1007.1 ქვეთავის მიხედვით, საჭიროა მოეწყოს არანაკლებ ორი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რომლიდანაც ერთი აუცილებლად უნდა იყოს ლიფტი (1007.2.1), რაც პროექტით გათვალისწინებულია, კერძოდ: შენობის ყველა ზემოხსენებულ სართულს ემსახურება ორი მისაწვდომი ლიფტი (იხ. განმარტებითი ბარათი) და ორი გზა-კიბე (გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე მოაჯირებს შორის 1.20 მ-ზე მეტია და 1007.3 ქვეთავის მიხედვით ითვლება მისწვდომ გასასვლელ საშუალებად);

შენიშვნა №1 : მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME

A17-ის 2.27 ქვეთავში. სათადარიგო ელექტრომომარაგება 1703-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

- ვინაიდან შენობის გარკვეული სართულები ეთმობა სც-2 დაკავებულობას, ხოლო დანარჩენი სართულები, სადაც სხვა დაკავებულობებია, მთლიანად აღჭურვილია 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით, გზა-კიბეების ფარგლებში თავშესაფრის ფართობების მოწყობის საჭიროება, 1007.3 ქვეთავის №2 და №6 გამონაკლისების თანახმად, არ არის;

- სავაჭრო **(სვ)** და საოფისე **(სქ)** დაკავებულობები უზრუნველყოფილია მისაწვდომი ტუალეტებით, რაც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

- საპროექტო შენობის ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების კომპონენტია, არის მისაწვდომი;

- შემოზღუდულ ავტოსადგომებზე, ავტომობილების ადგილების რაოდენობის მიხედვით, გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობის ადგილები შშმ პირთათვის (ჯამში 4 ადგილი), რაც აკმაყოფილებს 1106.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- ყველა სართულის გეგმაზე, ასევე გენგეგმაზე, ასახულია მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც სწორად არის განსაზღვრული და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს;

შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- ყველა ნიშნულზე „ზ-ა“, „1-10“, „ა-ზ“ ღერძებში და +6.60 ნიშნულიდან ზევით „7-4“ ღერძებში ფასადების მხარეს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 9.0 მეტრს

აღმატება და შესაბამისად, 602 ცხრილის მიხედვით, გარე კედლებს ხანძარმედეგობა არ ესაჭიროება, ხოლო 705.8 ცხრილის მიხედვით ამ გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი შეუზღუდავია.

- ±0.00 და +4.10 ნიშნულებზე „7-4“ ღერძებში მინიმალური ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არის 3.50 მეტრი, შესაბამისად გარე კედლებს (ცხრილი 602) ესაჭიროება 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რაც პროექტით გათვალისწინებულია. რაც შეეხება ამ კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობს, ვინაიდან ზემოხსენებულ ნიშნულებზე შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, 705.8 ცხრილის მიხედვით ყველა ზემოაღნიშნული ღიობების დასაშვები ფართობი უნდა იყოს 45%, რაც ასევე გათვალისწინებულია (პროექტის მიხედვით არის 25%).

- ყველა ნიშნულზე „10-7“ და „4-1“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არის 1.00 მეტრზე ნაკლები, გამომდინარე აქედან, 602 ცხრილის თანახმად, ამ ნაწილში გარე კედლებს არ ესაჭიროება 1 საათზე მეტი ხანძარმედეგობა, პროექტის ავტორის მიერ ეს გარემოება გათვალისწინებულია და გარე კედლებზე მითითებულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობა (ცეცხლმედეგობა არ არის მითითებული იმ კედლებზე, რომლებიც ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს ელემენტებია, 601 ცხრილის მიხედვით 2 საათიანი ცეცხლმედეგობა ისედაც მოეთხოვება და 721.1(1) ცხრილის თანახმად, გააჩნია კიდეც (იხ. პირობითი აღნიშვნები);

- 2 საათიანი ცეცხლმედეგობა გააჩნია, აგრეთვე, ყველა იმ გარე კედელს, რომელიც გრუნტთან შეხებაშია (მიწისქვეშაა) ანუ ასეთი კედლები არის გაძლიერებული ბეტონის და როგორც უკვე აღვნიშნეთ, 721.1(1) ცხრილის თანახმად, გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი;

შენიშვნა №1: გარე კედლების ხანძარმედეგობა და კედლის ღიობების პროცენტულობა დეტალურად არის წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზის ცხრილში (გვ. 3);

შენიშვნა №2: ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები გაზომილია კედლების ზედაპირიდან (მართი კუთხით), როგორც საკადასტრო საზღვრამდე, ასევე საზოგადოებრივი სივრცის, ქუჩის შუახაზამდე.

- დაცულია 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნა, მომიჯნავე სართულების ღიობების ერთმანეთისგან შვეულად გამიჯვნის შესახებ;

- გარე კედლებს გააჩნია პარაპეტი, თუმცა მისი არსებობა ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის რადგან დაცულია 705.11 ქვეთავის №3 გამონაკლისის მოთხოვნები;

  შენიშვნა: ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების (მათ შორის პარაპეტის) დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კოსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.

- 601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (I-B ტიპი) გამომდინარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის კოსტრუქციას

და არაძირითად ნაწილებს უნდა გააჩნდეს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, მაგრამ პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებულია ხანძარმედეგობის უფრო მეტი ხარისხი;

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სახურავი მოქცეულია პარაპეტის საზღვრებში;

- სახურავზედა ნაგებობების (კიბის, ლიფტის, შახტების და სხვა ნაწილების) ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის ერთმესამედს, რაც აკმაყოფილებს 1509.2.2-ე პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა: სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით, I-B ტიპის შემთხვევაში უნდა განეკუთვნოს B კლასს, თანახმად 1505.1ა ცხრილისა (B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას).

ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.

შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- კონსტრუქციის ტიპიდან (**I-B** ტიპი) გამომდინარე, შენობის ყველა იატაკის კონსტრუქცია არის რკინაბეტონის, გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი (ცხრილი 721.1(3)) და შესაბამისად დაკავებულობების აუცილებელი

თარაზული გამიჯვნის მოთხოვნები, რაც 508.4 ცხრილში საათების მიხედვითაა დადგენილი დაცულია;

- რაც შეეხება შვეულ გამმიჯნავებს განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

1) ბინები (საცხოვრებელი ერთეულები), 420.2 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, ერთმანეთისგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრებით;

2) იმ სართულებზე სადაც ბინებია **(სც-2)** განთავსებული, დერეფნების კედლებს გააჩნია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, ხოლო ამ კედლებში, 716.5 ცხრილის მოთხოვნათა შესაბამისად, მოწყობილია 20 წთ-იანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობები;

3) სახანძრო ტუმბოების ოთახები **(სწ-2)**, რომლებიც განთავსებულია მიწისქვეშა სართულებზე (-6.30 და -3.30 ნიშნულებზე) 913.2.1 ქვეთავის თანახმად ყველა სხვა ფართობისგან უნდა გაიმიჯნოს 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რაც პროექტში გათვალისწინებულია. ტუმბოების ოთახის კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 90 წთ, რაც შეესაბამება 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

4) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შენობის შიგა გასასვლელის გზა-კიბეები, 1022.1 ქვეთავის თანახმად, შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით; კიბის უჯრედების ვესტიბიულები ასევე შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით. ვესტიბიულისა (ტამბურ-რაბისა) და გზა-კიბის გამმიჯნავებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოწყობილია 20 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობები, ხოლო ვესტიბიულისა და დერეფნის გამმიჯნავ კედლებში - 90 წთ-იანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობები, რაც აკმაყოფილებს 909.20.4.1 და 716.5.3 ქვეთავების მოთხოვნებს;

5) ±0.00 ნიშნულზე მდებარე გზა-დერეფანი 1023.3 ქვეთავის თანახმად, შენობის დანარჩენი სივრცეებისგან შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით. გზა-დერეფნისა და გზა-კიბის გამმიჯნავ ზღუდეში მოწყობილია 1,5 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობი, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

6) ლიფტებს, ყველა მიწის დონიდან ზემოთა სართულზე, გააჩნია ფოიეები, ხოლო მიწის დონიდან ქვემოთა სართულებზე - ორმაგი ფოიეები (ტამბურ-რაბები), რომლებიც შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ბეტონის კედლებით, თუმცა ვინაიდან, 713.14.1 ქვეთავის თანახმად, ლიფტის ფოიეები შესაძლოა შემოიზღუდოს 708-ე ქვეთავით განსაზღვრული 1 საათიანი ცეცხლმედეგი ტიხრებითაც, ამიტომ ამ შემომზღუდავებში, 716.5.3 ქვეთავის თანახმად, თავისუფლად შეიძლება დაყენდეს 20 წთ-იანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარის ანაწყობები. მიუხედავად ამისა, საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მოთხოვნით, ამ კარების ცეცხლმედეგობის ხარისხი, მიწისქვეშა სართულებზე, არის 30 წუთი, რაც რაღა თქმა უნდა, უკეთესია;

7) შენობაში არსებული შახტების (ლიფტის, საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათი, რაც აკმაყოფილებს 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს;

შენიშვნა №1: ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.1 ქვეთავების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლის მიხედვით ანჯამიანი ან ღერძზე მოძრავკარიანი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი, რომელიც კვამლგაუმტარი ზღუდის კედელში არ მდებარეობს, NFPA 252-ის ან UL 10 C-ს შესაბამისად უნდა შემოწმდეს. ცეცხლმედეგი კარები NFPA 80-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

შენიშვნა №2: 716.5.3 ქვეთავის თანახმად, ცეცხლმედეგი კარის ანაწყობები, რომელთაც 716.5 ცხრილში მოცემული ცეცხლმედეგობის ხარისხიანი დერეფნის კედლებში ან კვამლგამუტარი ზღუდეების კედლებში

მდებარეობის შემთხვევაში 20 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი სჭირდება (ამ კატეგორიაში შედის ლიფტის ფოიეს კარიც), NFPA 252-ის ან UL 10 C-ს და UL 1784-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს. კვამლგაუმტარი კარები NFPA 105-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

შენიშვნა №3: 716.5.2 ქვეთავის თანახმად, ლიფტის კარის ანაწყობები NFPA 252-ის ან UL 10B-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს.

შენიშვნა №4: საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3. ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით).

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

- ვინაიდან საპროექტო შენობის ზედა სართულები ეთმობა მრავალბინიან საცხოვრებელს (სც-2), ხოლო ბოლო დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე ზემოთ, 903.2.8 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად, ამ შენობის მთლიანად აღჭურვა ავტოსაშხეფი სისტემით საჭირო არ არის და ამიტომ ავტოსაშხეფი სისტემა მოწყობილია მხოლოდ იმ სართულებზე, რომლებზეც სც-2-ისგან განსხვავებული დაკავებულობებია გათვალისწინებული;

  შენიშვნა: ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 903.3.1 - 903.3.6 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- სახანძრო ტუმბოს ოთახებში გათვალისწინებულია ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემა;

  შენიშვნა: ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემა უნდა მოეწყოს 904-ე ქვეთავის მიხედვით;

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა. მილდგარების სახელოს მისაერთებლები ისეა განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი ექცევა 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში.

  შენიშვნა: სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 905 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია კვამლის კონტროლის სისტემა, კერძოდ: კვამლისგან დაცული, შემოზღუდული კიბის უჯრედები დაწნევადია და გააჩნია ასევე დაწნევადი ვესტიბიულები; ლიფტის შახტები არის დაწნევადი; ლიფტებს ყველა სართულზე (გარდა შენობიდან გამოსასვლელის დონისა) გააჩნია ფოიეები, რომლებიც ასევე დაწნევადია. დერეფნები და მიწისქვეშა ავტოსადგომი გარაჟები აღჭურვილია მექანიკური კვამლგამწოვი სისტემებით (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი).

  შენიშვნა: სისტემები უნდა მოეწყოს 909 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

  1) 907.2.9.1 ქვეთავის მიხედვით საჭირო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;
  2) 907.2.11.2 ქვეთავის მიხედვით საჭირო კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები, რომლებიც განთავსებულია თითოეული საძინებელი ფართობის ჭერზე;
  3) 907.2.13.1.1 და 907.2.15 ქვეთავის მიხედვით საჭირო კვამლის ავტომატური აღმომჩენები, რომლებიც განთავსებულია სახანძრო ტუმბოს ოთახებში, ლიფტის ფოიეებში, ლიფტების სამანქანოებში, სავაჭრო და სასაწყობო ფართობებში, აგრეთვე მიწისქვეშა სართულებზე და დერეფნებში (კიბის უჯრედების შესასვლელებთან);

4) 907.2.13.1.2 ქვეთავის მიხედვით საჭირო არხის კვამლაღმომჩენები (იხ. განმარტებითი ბარათი);

5) 907.2.13.2 ქვეთავის მიხედვით საჭირო სახანძრო განყოფილებასთან კავშირის სისტემა, რომლის მოწყობილობები განთავსებულია ყოველი იატაკის დონეზე შემოზღუდული შიგა გასასვლელის გზა-კიბის საზღვრებში;

6) 907.5.2.2 ქვეთავის მიხედვით საჭირო საგანგებო ხმოვანი განგაშის სისტემა, რომლის რადიოგამოძახების ზონები მოწყობილია გასასვლელის გზა-კიბეებზე, ასევე ყოველ იატაკზე/სართულზე (მათ შორის ლიფტებთან ახლოს).

შენიშვნა N1: სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს 907.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

შენიშვნა N2: არხის კვამლაღმომჩენები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს 907.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს, უნდა განთავსდეს შემდეგ ადგილებში:

1. ჰაერის კონდიცირების თითოეული სისტემის რეცირკულაციური ჰაერის და ჰაერგამწოვ მთავარ არხში, რომელშიც ჰაერის მოძრაობის სიჩქარე 0,94 მ^3/წმ-ს აღემატება.ასეთი აღმომჩენები უნდა მოთავსდეს ბოლო არხის შესასვლელში ქვედა მიმართულებით ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათთან მიდგომა მომსახურების მიზნით;
2. ყველა მისაერთებელთან, რომლებიც ერთმანეთთან აერთებს რეცირკულაციური ჰაერის არხს ან ჰაერის კონდიცირების სისტემის არხსა და შვეულ არხს ან დგარს, რომელიც ორ ან მეტ სართულს ემსახურება.

- შენობის -6.30 და -3.30 ნიშნულებზე განთავსებულია სახანძრო ტუმბოს ოთახები.

შენიშვნა: სახანძრო ტუმბოებთან დაკავშირებით დაცულ უნდა იქნეს 913 ქვეთავის მოთხოვნები.

- **სც-2** დაკავებულობის გარდა ყველგან გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება.

შენიშვნა: ცეცხლმაქრები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906 ქვეთავისა და NFPA 10-ის შესაბამისად (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- შენობის ფასადზე გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ორი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „წესების“ 912 ქვეთავით.

  შენიშვნა: სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს NFPA -ის სტანდარტების შესაბამისად (რომლების ეხება სისტემების დაგეგმარებას) და უნდა აკმაყოფილებდეს 912.2-912.5 ქვეთავების მოთხოვნებს (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე, შენობის მიწისზედა ნაწილის ერთ-ერთი გარე კედლიდან მინიმუმ 5 მ-ის და სავალი გზის კიდიდან არანაკლებ 2,5 მ-ის დაშორებით გათვალისწინებულია ორი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა.

  შენიშვნა: სახანძრო ჰიდრანტების, აგრეთვე მათთან მისასვლელი გზების ადგილმდებარეობა უნდა აღინიშნოს სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებით (მოცულობითი შუქ-სიგნალიანი ან ბრტყელი, დამზადებული შუქ-ამრეკლი საფარების გამოყენებით).

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით, მიწისქვეშა ავტოსადგომების სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსების შესასვლელებში გათვალისწინებულია პირველი ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო ჭიშკრები, ავტომობილების სადგომი სათავსების მხრიდან ჰაერის ფარდის მოწყობით - საქშენი აპარატებიდან არანაკლებ 10 მ სიჩქარის და არანაკლებ 0,03 მ საწყისი სისქის და დასაცავი ღიობის არანაკლები სიგანის მქონე ჰაერის ნაკადით.

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს. კერძოდ:

- მიწისქვეშა სართულებზე, ავტოსადგომისთის **(სწ-2)** წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების არსებობა, 1602.1 ცხრილის მიხედვით, საჭირო არ არის. ასევე, ვინაიდან სახანძრო ტუმბოების და ავზების ოთახი **(სწ-2)**, წარმოადგენს დამხმარე ტექნიკურ ფართს და ფაქტიურად ეს სივრცე დაუკავებელია ექსპერტის აზრით აქაც წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების არსებობის აუცილებელი არ არის და არც პროექტით არის გათვალისწინებული.

- ±0.00 ნიშნულეზე განთავსებულ სავაჭრო სივრცეში **(სვ)** გათვალისწინებულია ორი ტუალეტი თითოეული სქესისთვის, ცალ-ცალკე მოწყობილობებით და ერთი მისაწვდომი ტუალეტი. აქვეა მოწყობილი სამომსახურო ნიჟარა. საჭიროების შემთხვევაში ამ ტუალეტებით ისარგებლებენ ასევე ანტრესოლის (+4.10 ნიშნულზე) არსებული სასაწყობო სივრცის დამკავებლებიც. დაცულია უკიდურესი სივრციდან ტუალეტებამდე მისასვლელი სავალი გზის სიგრძე არ აღემატება 150 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 1602.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- იმ სართულებზე, სადაც საქმიანი **(სქ)** დაკავებულობებია, თითოეულ საოფისე ფართში მოწყობილია თითო ტუალეტი თითო ხელსაბნითა და უნიტაზით. თითოეულ სართულზე არსებული ყველა ფართის დაკავებულობიდან გამომდინარე მათი რაოდენობა გაცილებით მეტია 1602.1 ცხრილში ასახულ აუცილებელ ფიქსირებულ რაოდენობაზე. მისაწვდომი ტუალეტები მოწყობილია +6.60 და +13.00 ნიშნულებზე, რომლითაც სარგებლობა შეეძლებათ +9.80 ნიშნულზე არსებული საოფისე სივრცის დამკავებლებსაც, რაც აკმაყოფილებს 1602.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს. სამომსახურო ნიჟარა მოწყობილია +9.80 ნიშნულზე.

- ყველა საცხოვრებელ ბინაში **(სც-2)** გათვალისწინებულია ყველა ის მოწყობილობა, რაც აუცილებელია და აკმაყოფილებს ცხრილის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომი გარაჟის და საცხოვრებელი სართულების გარდა ყველა სართული უზრუნველყოფილია სასმელი წყლის აპარატებით, რაც თავისთავად ასრულებს ცხრილის მიხედვით განსაზღვრული წყლის დასალევი შადრევნის ფუნქციას.

<u>წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

12. ლიფტების შეფასება:

- საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია 4 ლიფტი, რომლებსაც ყველა სართულზე გააჩნია 713.14.1 ქვეთავის თანახმად საჭირო შემოზღუდული ფოიეები, გამონაკლისს წარმოადგენს შენობიდან გამოსასვლელის დონე, რომელსაც ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გამო, 713.14.1 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად, ფოიე არ ესაჭიროება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწის დონიდან ქვემოთა სართულებზე მოწყობილია ორმაგი ფოიეები (ტამბურ-რაბები). ლიფტის შახტები და ფოიეები არის დაწნევადი (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

- შენობის თითო ფლიგელში გათვალისწინებული ორი ლიფტიდან თითო ლიფტი (ჯამში 2 ლიფტი) წარმოადგენს აუცილებელ მისაწვდომ გასასვლელ საშუალებას;

- ერთ-ერთი ლიფტის კაბინის გაბარიტები იძლევა იმის საშუალებას, რომ მათში 60სმ X 2,15მ. ზომის, არანაკლებ 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცე განთავსდეს (1702.4 ქვეთავი). ეს ლიფტი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით, არის სახანძრო ლიფტი, ოღონდ არა 41-ე დადგენილების შესაბამისი, რადგან 41-ე დადგენილების მიხედვით (იხ. 403.6.1 ქვეთავი), სახანძრო ლიფტების მოწყობის აუცილებლობა, დგება იმ შემთხვევაში

თუ საპროექტო შენობის დაკავებული იატაკი სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე მაღლაა.

- ლიფტის შახტების ბოლოში 1704.1, 1704.2 და 1704.3 ქვეთავების შესაბამისად. მოწყობილია საჰაერო ნახვრეტები, რომლის საშუალებითაც ხანძრისას კვამლი და ცხელი აირები გარეთ გაიწოვება;

შენიშვნა №1: ლიფტები უნდა მოეწყოს მე-17 თავის მოთხოვნათა დაცვით.

შენიშვნა №2 : მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში. სათადარიგო ელექტრომომარაგება 1703-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

ლიფტებითან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

13. ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასება:

- -6.30 და -3.30 ნიშნულზე განთავსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟებთან მიდგომა, რომლებიც ჯამში 50-ზე მეტ ადგილზეა გათვლილი, ხდება ერთი ორმხრივი საავტომობილო პანდუსის მეშვეობით, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.7 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ზემოაღნიშნული საავტომობილო პანდუსების დახრის პროცენტულობა თავსა და ბოლოში, 3.50 მეტრზე, არის 10%, ხოლო შუაში - 16%. ყოველივე ზემოაღნიშნული აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- პანდუსის სიგანე არის 6.50 მ, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ავტომობილთათვის განკუთვნილი ადგილის ზომები სრულ შესაბამისობაშია 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებთან;

- დაცულია აგრეთვე 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნები ავტოსადგომების ზომების, განლაგების და გასავლელების მიმართ;

- 406.6.2 ქვეთავის თანახმად, შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები უზრუნველყოფილი იქნება მექანიკური განიავების (კვამლის მექანიკური გაწოვის) სისტემით (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი).

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შშმ პირთათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობა (საერთო ჯამში 4 ადგილი) აკმაყოფილებს 1106.1 ცხრილის მოთხოვნებს.

<u>ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.</u>

დ ა ს კ ვ ნ ა:

ზემოაღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქ. N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.12.08.037.106) დაპროექტებული მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად

<u>გაფრთხილება!</u>

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.

2. სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები (რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან), სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი და ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.
3. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები
- კვამლის საკონტროლო სისტემა
- ლიფტები და ლიფტის კაბინების განათება
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად
- საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები
- სახანძრო განგაშის სისტემები
- ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები)

4. ყველა ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი უნდა აკმაყოფილებდეს 716.5 ქვეთავის მოთხოვნებს;
5. არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე;
6. უკანონოდ ჩაითვლება შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.

ექსპერტი:  ირაკლი კვარაცხელია

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.
2. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

ექსპერტის მონაცემები

სახელი, გვარი: ირაკლი კვარაცხელია

დაბადების თარიღი და ადგილი: 23 ივნისი 1973 წელი, ქ. თბილისი

მისამართი: ქ. თბილისი, ჯანაშვილის ქ 5-7, ტ: 597 228 560

განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი

პროფესია: არქიტექტორი

მუშაობის სტაჟი: 18 წელი

პროფესიული გამოცდილება: 1998 – 2008 წწ. ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური (მთ. სპეციალისტი, შემდგომ განყოფილების უფროსი)

2008 –2010 წწ. შპს “საამშენებლო კომპანია პლანეტა” (არქიტექტორი)

2010 – 2017 წწ შ.პ.ს “თბილქალაქპროექტი" (არქიტექტორი, შემდგომ დირექტორი დღემდე)

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-007

გადაეცემა

ირაკლი კვარაცხელიას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

სარეგისტრაციო № 4216

საქართველო

დიპლომი

უა № 003165

მიეცა ირაკლი ალექსანდრეს ძე კვარაცხელიას

მასზე, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის სრული კურსი

არქიტექტურის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის „17“ ივლისის გადაწყვეტილებით ი.ა. კვარაცხელიას მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი „29“ VII 1996 წ.

МПФ Гознака. 1996.